# I დეკემბერი

2009 სამშაბათი

ეს. 11, 1-10; ფს. 71; ლუკ. 10, 21-24 I ი

## ნეტარია თვალები, რომელნიც ხე-დავენ, რასაც თქვენ ხედავთ. (ლუკ. 10, 23)

იესო ნათლად და თავმდაბლად საუბრობს. მოწაფეებმა ჯერ ვერ გაიგეს, რომ იესოს ყველა წინასწარმეტყველი ელოდა, ყველა ხალხი, ყველა ადამიანი!

ამ სიტყვებით იესო ეხმარება მოწაფეებს. ჩემი ნეტარებაც ძალზე დიდია, რადგანაც იესოს გაცნობა შევძელი! ეს მაშინ გავაცნობიერე, როცა დავინახე, რომ ურწმუნო ერიდან მომავალი ერთი ოჯახი ბედნიერებას განიცდიდა უფალზე საუბრის სმენისას.

# 2 დეკემბერი

## 2009 ოთხშაბათი

ეს. 25, 6-10; ფს. 22; მათ. 15, 29-37 I ი

### ესაა ჩვენი ღმერთი, მას ველოდით.

(ეს. 25, 9)

ესაია სიხარულს ამცნობს.
ჩვენ გვქონდა იმედი უფლისა,
რომელიც თავისი ხალხის ცრემლს აშრობს!
ჩვენი იმედი სათანადო მიზნისკენ მივმართეთ,
არ შევმცდარვართ!
კეთილო და გულმოწყალე მამაო, შენი იმედი
გვაქვს, მხოლოდ შენი, ვინც გვიბოძე იესო,
ცოდვის, მწუხარების, ბოროტების ყოველი
საცდურისგან ჩვენს დასახსნელად!

# 3 დეკემბერი

წმ.ფრანცისკე ქსავერი (მ)

## 2009 ხუთშაბათი

ეს. 26, 1-6; ფს. 117; მათ. 7, 21.24-27 I თ

### მიენდეთ უფალს. (ეს. 26, 4)

შენ მოგენდობით, წმიდა მამო!
იესო მოგენდო შენ
და მისი მოლოდინი არ გაცრუებულა:
ჩვენც შენ მოგენდობით, მხოლოდ შენ.
შენ გიყვარვართ,
შენ იცნობ ჩვენს სიღატაკეს,
შენ ძალგიძს ჩვენი შეცვლა და შეწევნა.
ნამდვილად მოგენდობით!

# 4 დეკემბერი

წმ.იოანე დამასკელი (ნ.მ)

## 2009 პარასკევი

ეს. 29, 17-24; ფს. 26; მათ. 9, 27-31 I ი

## თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ!

(მათ. 9, 29)

ბრმანი არიან: ეს სიტყვა მათ
თვალს უხელს. და რას ხედავენ?
იესოს სახეს!
ვინც რწმენის მორჩილებით ახელს
თვალებს, პირველად იესოს ხედავს!
მას მეც ვხედავ, და ის მუდამ
ყველაზე მნიშვნელოვანია.
ვინც მისგან ჩემს დაცილებას ცდილობს,
სიბნელეში მაბრუნებს,
მატყუებს, ჩემს წაქცევას ცდილობს.

# 5 დეკემბერი

2009 შაბათი

ეს. 30, 19-21.23-26; ფს. 146; მათ. 9, 35–10,1.5-8 I ი

## შეებრალა ისინი. (მათ. 9, 36)

იესოს ბრბო შეებრალა!
ისინი ვერ გრძნობენ,
რომ პური შიათ, მაგრამ იციან,
რომ იესოს გულიდან მომავალი
სიტყვის შიმშილი აწუხებთ!
იესო დიდხანს ესაუბრება მათ,
შემდეგ კი მოწაფეების
მოტანილ პურს ურიგებს.
პური ყველას ჰყოფნის,
რადგანაც იესომ ზეცას მიაპყრო მზერა
და ღმერთი აკურთხა!

# 6 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე

2009 კვირა

ბარ. 5, 1-9; ფს. 125; ფილ. 1, 4-6.8-11; ლუკ. 3,1-6 II ი

## განუმზადეთ გზა უფალს. (ლუკ. 3, 4)

წინასწარმეტყველთა სიტყვები
ისმის იოანეს ბაგეთაგან,
უდაბნოს ციცაბო
და ძნელად სავალ ბილიკებზე.
უფალს გზა ისე გავუმზადოთ,
რომ მოსასვლელად
დიდი დრო არ დასჭირდეს.
ჩვენს გულში მოვუმზადოთ
მას გზა მონანიებით,
მისი მოსმენის სურვილით,
მისდამი მორჩილების მზადყოფნით.

# 7 დეკემბერი

წმ. ამბროსი (მ)

## 2009 ორშაბათი

ეს. 35, 1-10; ფს. 84; ლუკ. 5, 17-26 II თ

### საოცრებანი ვიხილეთ დღეს. (ლუკ. 5, 26)

რა ვნახეთ?
ვნახეთ, რომ დავრდომილი
სიხარულით წამოდგა საწოლიდან.
ის სიხარულით ადგა არა იმიტომ,
რომ განიკურნა, არამედ – რადგანაც მიეტევა.
ამგვარად, ვნახეთ, რომ ადამიანებმა ახლავე,
ამქვეყნად შეიძლება მიიღონ შენდობა!
პატიება სიხარულს ბადებს.
იჩქარე მის მისაღებად
და ხვალინდელ დღესასწაულზე
შენი ზეციური დედა კმაყოფილი იქნება!

# 8 დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა უწმიდესი მარიამ ღვთისმშობლისა (დდ)

2009 სამშაბათი

დაბ. 3, 9-15.20; ფს. 97; ეფეს. I, 3-6.11-12; ლუკ. I, 26-38 ს თ

ქუთაისის ეკლესიის დღესასწაული

## აჰა, უფლის მხევალი ვარ. (ლუკ. I, 38)

უწმიდესი მარიამი მისი ამ სიტყვებისთვის გვიყვარს, რომლებიც ამჟღავნებენ მის მორჩილებას, რისთვისაც ღმერთმა ის გამოარჩია და ყველა ადამიანმა მიიღო. ნებაყოფლობით მსახურება მორჩილების მშვენიერი გამოხატულებაა, ხოლო უფლის მსახურება — სიხარული და სიცოცხლის სისრულეა!

თავისი ამ სიტყვებით მარიამი კაცობრიობისთვის ღვთის ჩანაფიქრის განსახორციელებლად მზადყოფნას აცხადებს. ჩვენ მადლიერნი ვართ მისი და ვცდილობთ, მივბაძოთ მას!

# 9 დეკემბერი

## 2009 ოთხშაბათი

ეს. 40, 25-31; ფს. 102; მათ. 11, 28-30 II ი

### მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო. (მათ. 11, 28)

იესო, შენ მე მიხმობ! მოვდივარ შენთან,
მეც აგრეთვე დაღლილი და დაქანცული
იმ მრავალი ტვირთით, ჩემი სისუსტე
და გარემო სამყარო რომ წარმოქმნიან.
შენი კეთილი მზერა, შენი ჭეშმარიტი
და ტკბილი სიტყვა ძალას მმატებენ.
მოვდივარ, რათა უბრალოდ შენთან ვიყო.
მხოლოდ ტვირთი არ შემიმსუბუქო,
რამე მომთხოვე კიდეც,
რათა შენთან თანამშრომლობა შევძლო!

# 10 დეკემბერი

2009 ხუთშაბათი

ეს. 41, 13-20; ფს. 144; მათ. 11, 11-15 II ი

მამა კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება
(†1973წ.)

## მე შეგეწევი შენ. (ეს. 41, 14)

გმადლობ, მამაო!
არასოდეს მიგიტოვებია შენი ხალხი,
რომელსაც შენი ერთგულება ესაჭიროებოდა,
რადგანაც კვლავ ურწმუნობა სძლევდა.
შენ ჩემს სიღატაკესა და სისუსტესაც იცნობ.
შენ გიყვარვარ, მუდამ მეტი ყურადღებით
ეპყრობი ჩემს ცხოვრებას, ვიდრე მე თვითონ.
მოდი, დამეხმარე შენი თანსწრებით,
შენი ძის, იესოს მეშვეობით!

# 11 დეკემბერი

2009 პარასკევი

ეს. 48, 17-19; ფს. 1; მათ. 11, 16-19 II ი

## მიგიძღვი იმ გზაზე, რომელზეც უნდა დადიოდე. (ეს. 48,17)

ღმერთი არ გვატყუებს.
მისი სიტყვები და სწავლება
ჩვენთვის შუქი და უეჭველობაა.
ჩვენ უნდობლობით ვპასუხობთ მას,
რადგანაც, ჩვენი ამპარტავნობის გამო
თავი მცოდნეებად მიგვაჩნია,
სინამდვილეში კი ძალზე უცოდინარნი ვართ,
რადგანაც ცუდად ვიცნობთ ჩვენს წარსულს
და სრულიად არაფერი ვიცით მომავლის შესახებ,
მას კი ყოველივე თვალწინ აქვს გადაშლილი!

# 12 დეკემბერი

წმ.აბიბოს ნეკრესელი, ეპისკოპოსი,
წამებული (VIს.) (მ)

2009 შაბათი

სირ. 48, 1-4.9-11; ფს. 79; მათ. 17, 10-13 II წ

## ელია ნამდვილად მოვა და ყოველივეს მოაწესრიგებს. (მათ. 17, 11)

ებრაელები წინასწარმეტყველს ელოდნენ,
რომელიც რწმენის სიწმიდის შენარჩუნებაში
ეხმარებოდა ხალხს.
განკაცებული ღმერთის ჭეშმარიტი
და კონკრეტული სიტყვისკენ რწმენის
მისამართად იოანე ნათლისმცემელი მოვიდა.
მისი დახმარებით ვუცქერთ იესოს
დიდი სურვილით, ვისწავლოთ მისგან
და დავემორჩილოთ მას!

# 13 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე

2009 კვირა

სოფ. 3, 14-17; საგ. ეს. 12, 2-6; ფილ. 4, 4-7; ლუკ. 3, 10-18 III ი

## „ჩვენ რაღა ვქნათ?“ (ლუკ. 3, 14)

იოანე ნათლისმცემელმა
ამ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი.
რა უნდა გავაკეთოთ,
მესიის მისაღებად
გული რომ მოვამზადოთ?
ვეცადოთ, გავათავისუფლოდ
ის კერპთაგან, რომელთაც
ჩვენი ეგოიზმი აღმართავს,
ესენია: სიმდიდრე, მოდა,
სიამოვნებანი, ზედაპირულობა.

# 14 დეკემბერი

წმ. იოანე ჯვრისა (მ)

## 2009 ორშაბათი

რიცხ. 24, 2-7.15-17; ფს. 24; მათ. 21, 23-27 ს თ

## ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?

(მათ. 21, 23)

მალიან რთულია პასუხის გაცემა
ბოროტი ზრახვით დასმულ კითხვაზე.
იესოსთვისაც რთული იყო,
ამიტომაც მან კითხვით უპასუხა.
ჩვენ ვიცით, რომ იესოს ხელმწიფება
მამა ღმერთისგან მოდის
და ამაში დარწმუნებულნი ვართ,
რადგანაც ის სიყვარულით მოკვდა
და მკვდრეთით აღდგა!

# 15 დეკემბერი

2009 სამშაბათი

სოფ. 3, 1-2.9-13; ფს. 33; მათ. 21, 28-32 III ი

## დავტოვებ შენს წიაღში თვინიერ და ბეჩავ ხალხს. (სოფ. 3, 12)

ღმერთს მოსწონს თავმდაბლობა
და ადამიანებიც ხალისით ურთიერთობენ
თავმდაბალ პიროვნებებთან!
ამიტომაც მამა ღმერთმა თავმდაბალი ქალწული
იპოვა თავისი ძის ქვეყნად მოსავლენად, მისი ძე
კი თავმდაბლობის მაგალითია.
მისი მოწაფეები, თუ თავმდაბალნი არ არიან, ასე-
თებად უნდა იქცნენ. ზოგიერთი მათგანი ცოდვის
დამდაბლების გზით გახდა თავმდაბალი.

# 16 დეკემბერი

2009 ოთხშაბათი

ეს. 45, 6-8.18.21-25; ფს. 84; ლუკ. 7, 19-23 III ი

## მოიქეცით ჩემკენ
## და ხსნილნი იქნებით. (ეს. 45, 22)

როგორ მივმართოთ ღმერთს?
ამას იოანეს მოწაფეები გვასწავლიან:
მათ თავიანთი პირველი მოძღვარი მიატოვეს
და იესოს მიმართეს.
ყველაფერმა მშვენიერმა,
მათ შორის, რელიგიამაც,
ყურადღება უნდა მიგვაპყრობინოს
იესოსადმი — ღვთის ერთადერთი ძისა
და ადამიანის ერთადერთი მხსნელისადმი!

# 17 დეკემბერი

წმ.ბარბარა (ნ.მ)

## 2009 ხუთშაბათი

დაბ. 49, 2.8-10; ფს. 71; მათ. 1, 1-17 III ი

## უსმინეთ ისრაელს, მამათქვენს!

(დაბ. 49, 2)

სიკვდილის პირას მყოფი იაკობი
თავის სარეცელთან მოუხმობს შვილებს.
რასაც ის ამბობს, აღსრულდება.
ის თავის შვილ იუდასაც მიმართავს,
ვინც ყველა ერს მიუტანს კურთხევას.
მის შთამომავალთა შორის იქნება ის,
ვისაც ყველა ხალხზე ექნება ხელმწიფება!

# 18 დეკემბერი

2009 პარასკევი

იერემ. 23, 5-8; ფს. 71; მათ. 1, 18-24 III ი

## შობს ძეს და დაარქმევ მას სახელად იესოს. (მათ. 1, 21)

იოსები სიზმარს ხედავს, თუმცა ხვდება,
რომ ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ არის,
არამედ მას ღმერთი ესაუბრება და
ამიტომაც ის მარიამის შესახებ აზრს იცვლის.
ამ წუთიდან ის თაყვანს სცემს მარიამს,
როგორც ცოცხალი ღმერთის ტაძარს!

# 19 დეკემბერი

2009 შაბათი

მსაჯ. 13, 2-7.24-25; ფს. 70; ლუკ. I, 5-25 III ი

## შესმენილია შენი ლოცვა. (ლუკ. I, 13)

ზაქარიას, რაც ითარგმნება:
,,ღმერთს ახსოვს'',
დავიწყნოდა ის ლოცვა,
რომელსაც გულმოდგინედ
აღავლენდა ღვთისადმი.
მაგრამ ღმერთს არ დავიწყნია ის!
ღმერთი დიდხანს ელოდა
ზაქარიას თხოვნის დაკმაყოფილებას
და ზაქარია ახლა დარწმუნებულია,
რომ მის ცხოვრებაში სწორედ
ღმერთი მოქმედებს!

# 20 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე

2009 კვირა

მიქ. 5, 1-4; ფს. 79; ებრ. 10, 5-10; ლუკ 1, 39-48 IV ი

## კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!

(ლუკ. 1, 42)

მარიამი ამ სიტყვებს
ელისაბედისგან ისმენს –
პირველი ადამიანისგან,
ვინც მისი საიდუმლო იცის.
მარიამი ხვდება, რომ რწმენა ღვთის ნიჭია
და არა ადამიანის ძალისხმევის შედეგი.
როცა ვინმე იესოს ღმერთად
და მაცხოვრად აღიარებს, ეს სასწაულია:
მას ეს მამა ღმერთმა გაუმხლა!

# 21 დეკემბერი

2009 ორშაბათი

ქებ. 2, 8-14; ფს. 32; ლუკ. I, 39-45 IV ი

## ვინა ვარ მე, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა ჩემთან? (ლუკ. I, 43)

ელისაბედი გაკვირვებულია,
თავის სახლში მარიამის სტუმრობას
ის დაუმსახურებელ ჯილდოდ მიიჩნევს.
მარიამი იესოს ატარებს – ღვთის სისრულეს!
შენს სახლში თუა მარიამი?
გახსოვდეს, რომ ის მარტო არ არის,
რადგანაც მას მუდამ ღვთის ძე ახლავს თან!

# 22 დეკემბერი

2009 სამშაბათი

I მეფ. I, 24-28; საგ. I მეფ. 2, I.4-8; ლუკ. I, 46-55 IV ი

## ადიდებს სული ჩემი უფალსა. (ლუკ. I, 46)

მარიამი ამგვარად პასუხობს
ელისაბედის კურთხევას.
ეს პასუხი ჩვენც
მუდამ მზად უნდა გვქონდეს,
როცა ვინმე მადლობას
გვიხდის ან გვაქებს.
თუკი რაიმე კეთილი გამოგვივიდა,
უფალს შევასხათ დიდება:
მისგან მოდის ყოველი ნიჭი,
ყოველი სიკეთე!

# 23 დეკემბერი

2009 ოთხშაბათი

მალ. 3, 1-4.23-24; ფს. 24; ლუკ. 1, 57-66 IV ი

## მოვავლენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას. (მალ. 3, 1)

ღმერთი მოულოდნელად არ მოდის.
მას მუდამ უძღვის წინ სხვა ვინმე,
შეხვედრის მოსამზადებლად.
ეს შეიძლება იყოს ქალი ან მამაკაცი,
ბავშვი ან მოზრდილი,
მწუხარე თუ მშვიდი პიროვნება:
ყურადღებით უნდა ვიყო,
რათა ადამიანურ სიტყვათა შორის
ღვთის სიტყვა ამოვიცნო.

# 24 დეკემბერი

2009 ხუთშაბათი

2 მეფ. 7, 1-5.8-12.16; ფს. 88; ლუკ. 1, 67-79 IV ი

## ჩვენი ღვთის გულმოწყალებით, რომლითაც გადმოგვხედა აღმოსავლეთმა მაღლიდან. (ლუკ. 1, 78)

ჩვენი მოლოდინი ამაღამ დასრულდება.
ყოველი ჩვენი მოლოდინი
იესოს მოსვლით ჯილდოვდება.
შენ ელი რამეს? ელი ახალ სამყაროს?
ახალ ცხოვრებას? ახალ დასაწყისს?
მიიღე იესო: ის მაღლიდან მოდის,
თუმცა კი ის, ვინც შენ მას გაწვდის,
ამ ქვეყნის მკვიდრია.

# 25 დეკემბერი

ქრისტეშობა (დდ)

2009 პარასკევი

ეს. 52, 7-10; ფს. 97; ებრ. 1, 1-6; იოან. 1, 1-18
(დღის წირვა) ს თ

## იყო ნათელი ჭეშმარიტი. (იოან. 1, 9)

უფალო იესო,
დღეს შენ ჩვილს გხედავთ,
შენ გიღებთ სიხარულით,
როგორითაც ბავშვს ეგებებიან.
შენ ჩვენი ცხოვრების,
ჩვენი წარსულისა და მომავლის
გასხივოსნებას იწყებ.
შენი წყალობით ყოველივე
ნათლითაა მოსილი!
უკვე ვერაფერი დაგვაღონებს,
რადგანაც შენ ხარ აქ!

# 26 დეკემბერი

წმ. სტეფანე
პირველწამებული (დ)

2009 შაბათი

საქ. 6, 8-10; 7, 54-60; ფს. 30; მათ. 10, 17-22 ს წ

ოზურგეთის საკრებულოს დღესასწაული

## მოერიდეთ ადამიანებს. მათ. 10,17

უნდობლობად არ უნდა განვეწყოთ
და ერთმანეთთან შეხვედრებს
არ უნდა ვერიდოთ.
ჩვენ ადამიანთა შორის ვცხოვრობთ
და მხოლოდ ღმერთს მივენდობით.
ის მოგვცემს სიფრთხილეს და სიმამაცეს.
მან მისცა სიმამაცე სტეფანეს,
რათა იესოს მოწმე გამხდარიყო.
ახლა მისი სახელი ჩვენთვის ნუგეში
და თამამი ერთგულების ბიძგია.

# 27 დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახი (დ)

2009 კვირა

I მეფ. 1, 20-22.24-28; ფს. 83; I იოან. 3, 1-2.21-24;
ლუკ. 2, 41-52 ს თ

გორის ეკლესიის დღესასწაული.

## დედამისმა გულში ჩაიმარხა ყოველივე ეს. (ლუკ. 2, 51)

რამდენ „რამეს" ვხედავთ მარიამის გულში! ანგელოზთან შეხვედრას, ღმერთისთვის მიცემულ თანხმობას, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა, იესოს დაბადებას, მწყემსთა სიტყვებს, მოგვებთან, სიმეონთან და ანასთან შეხვედრას, იოსების შრომას, ეგვიპტეში მოგზაურობის ხიფათებს, დაბოლოს, თვით იესოს გაუთვალისწინებელ ქცევას.
მარიამი არაფერს ივიწყებს,
რადგანაც ყველაფერი ღვთის ნიჭია!

# 28 დეკემბერი

წმ.ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი

2009 ორშაბათი

I იოან. 1, 5-2, 2; ფს. 123; მათ. 2, 13-18 ს წ

## გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე.

(I იოან. 2, 1)

მამა ღმერთი ბრალს არ გვდებს,
მას არ ვძულვართ.
ღვთის წინაშე ჩვენი ბრალმდებელი მტერია,
ვინც ორმაგად მზაკვრულად
ჯერ დაუმორჩილებლობისკენ გვიბიძგა,
ახლა კი ჩვენი დაგმობის ხილვა სურს.
მაგრამ ჩვენ გვყავს შუამდგომელი,
რომელიც გვიცავს: იესო,
ვინც თავად წარსდგება მამა ღმერთის
წინაშე ჩვენს სასარგებლოდ.

# 29 დეკემბერი

შობის შვიდდღეულის V დღე

2009 სამშაბათი

I იოან. 2, 3-11; ფს. 95; ლუკ. 2, 22-35 I თ

## ბნელი მიდის და ჭეშმარიტი ნათელი უკვე ბრწყინავს. (I იოან. 2, 8)

რა არის ბნელი? ყოველივე ის,
რაც ხელს უშლის სავალ გზაზე
მართებული ნაბიჯების განსაზღვრას,
სწორი დაგაწყვეტილების მიღებას,
ჭეშმარიტი ღირებულებების დაცვას.
ბნელი იფანტება, როცა იესო მოდის.
ეს კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ
ჩვენს საზოგადოებას,
რომელიც ამაყობს იესოს განდევნით.
ამ განდევნას მოჰყვება შედეგად
სულ უფრო ხშირი ბნელი.

# 30 დეკემბერი

შობის შვიდდღეულის VI დღე

2009 ოთხშაბათი

I იოან. 2, 12-17; ფს. 95; ლუკ. 2, 36-40

## თქვენ გწერთ, ჭაბუკნო, რადგან სძლიეთ ბოროტს. (I იოან. 2, 13)

წმ. იოანე ახალგაზრდებს თავისი
სიხარულის უზიარებს იმის გამო,
რომ მათ იესო მიიღეს.
მისი უგულვებელყოფის
თუ უარყოფის ცდუნებები
მრავალი და ძლიერია
ახალგაზრდებისთვის:
მათ დაძლიეს ეს ცდუნებები
და ახლა ერთგულად
ეკლესიის წიაღში იმყოფებიან!

# 31 დეკემბერი

შობის შვიდდღეულის VII დღე

2009 ხუთშაბათი

I იოან. 2, 18-21; ფს. 95; იოან. 1, 1-18 ს თ

## მასში იყო სიცოცხლე. (იოან. 1, 4)

ეს წელიწადი მშვიდად დავასრულოთ
და მოვემზადოთ ახალი წლის
მშვიდობით დასაწყებად,
იმ მშვიდობით,
რომელიც იესოსგან მოდის.
ისაა სიცოცხლე!
მას მივაბარებთ ყოველ განვლილ დღეს,
მისგან ვიღებთ მომავალ დღეებს.
მის გარეშე ერთი საათის
გატერებაც არ გვსურს.
სიცოცხლე, რომელიც მსაურს
და რომელზეც ვოცნებობ, მასშია!